


ქართველ მეცნიერს "სიდიკონ ვერზე" საკუთარ დაბორატორიას გაუხსნიან



ბაჩანა ღომსაძე პირველი ქართველია, რომელსაც "სიდიკონ ვერზე" მდებარე სანტა-კლარას უნივერსიტეტში საკუთარ დაბორატორიას (Lomsadze Lab) გაუხსნიან. ახადგამრდა მეცნიერი ცოტა ხნის წინ სანტა-კლარას უნივერსიტეტის

პროფესორი გახდა, რაც გურისხიმობს სავადრდებურო სადექციო კურსების წაკითხვას, საკუთარი სამეცნიერო დაბორატორიის შექმნას, სტუდენტების ხედმძღვანელობას, გრანტების მოძიებას, კოდაბორატციას სხვადასხვა სამეცნიერო ჭგუფებთან.

ღომსაძე გეგმავს, გაცვრითი პროგრამა სანტა-კლარას უნივერსიტეტსა და თბირისის სახედმწიფო უნივერსიტეტს შორისაც ჩამოაყარბოს.

"სანტა-კლარას უნივერსიტეტის მიერ ჩემი პროფესორის თანამდებობაზე დანიშვნის შემოთავაზება საკმაოდ გრძელი და რთური კონკურსის გავრის შემდგომ მოხდა. უნივერსიტეტში იყო ერთი საკონკურსო ადგირი ფიზიკაში პროფესორის თანამდებობაზე. შერჩევაში 250-მდე აპრიკანტი მონაწირელობდა. პირველ ეტაპზე 20 ადამიანი შეირჩა ავტობიოგრაფიის, გამოქვეყნებური შრომების და სარეკომენდაციო წერიდების მიხედვით. კიდევ უფრო „მოკლე სიაში“ მოხვედრა (4 კანდიდატი) გურისხიმობდა „სკაიპით“ ბეპირ გასაუბრებას და შემდგომ ადგირზე, უნივერსიტეტში ჩასვდას და 2-დღიან გასაუბრებას. გასაუბრება მოიცავს თითოეურ ადგირობრივ

პროფესორთან, დეკანთან და უნივერსიტეტის რექტორთან 1-საათიან ინტერვიუებს. ამის შემდგომ აპრიკანტს სამეცნიერო გეგმებზე მოხსენების და საუნივერსიტეტო კოლოქვიუმის გაკეთება მოეთხოვება.

მნიშვნელოვანია დექციების ჩატარება სტუდენტებისთვისაც, ვინაიდან მათი აზრის გათვარისწინება შეფასებაში როგორც წესი, განმსაზღვრელია. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ხანგრძლივი პროცესისა და მკაცრი კონკურენციის პირობებში უნივერსიტეტმა არჩევანი ჩემზე შეაჩერა. გარდა ამისა, აშშ-ის რამდენიმე უნივერსიტეტის „მოკლე სიაში“ ვარ მოხვედრიდი, შემოთავაზებებიც მაქვს პროფესორის თანამდებობაზე. თუმცა სანტა-კლარას საგანმათრებლო ცენტრი ავირჩიე, რადგან ის ითვლება ერთ-ერთ უძველეს და პრესტიჟულ უნივერსიტეტად აშშ-ში, რომლის სტუდენტობაც საამაყოა, თუმცა მაღალი საფასურისა და დიდი კონკურენციის გამო საკმაოდ რთურია. უნივერსიტეტი მდებარეობს „სირიკონ ვერზე“, რომელიც მსოფლიო ტექნოლოგიების ცენტრია. იგი ძალიან ახლოსაა სტენფორდისა და ბერკლის უნივერსიტეტებთან, სადაც კორაბორაციები მაქვს დაგეგმიდი”, – ამბობს ბაჩანა დომსაძე.

accent.com.ge